

სასწავლო პროცესის
მარეგულირებელი
წესი



SPORTUNI

თავი I.

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში - სფასსუ) არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აკადემიური უმაღლესი განათლების ორი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს.
2. სფასსუ სასწავლო პროცესს წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე წესისა და სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი სხვა აქტების შესაბამისად.
3. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესებს, სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
4. წინამდებარე წესი შესასრულებლად სავალდებულოა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ყველა მონაწილის, აგრეთვე სასწავლო პროცესის განხორციელების ხელშემწყობი ადმინისტრაციული პერსონალისათვის.

მუხლი 2. სწავლების ენა

1. უნივერსიტეტში სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე.
2. შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამების სრულად ან ნაწილობრივ (ცალკეული სასწავლო კურსების) უცხო ენაზე განხორციელება, შესაბამისი რესურსის არსებობის შემთხვევაში.
3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება სრულად უცხო ენაზე დასაშვებია მხოლოდ საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს შესაბამისი ნებართვის არსებობის შემთხვევაში.

თავი II.

სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა

მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

3.1 სტუდენტის სტატუსის მოპოვება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე

1. აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (საბაკალავრო) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და რომელიც

უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს **ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე**. რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე სტუდენტთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის საბაკალავრო საფეხურზე ჩარიცხვა ხდება მისაღები (შიდა) სპორტული ტურის ფარგლებში შესაბამისი კონკურსისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტებით რანჟირებული ქულებით;

2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს **არანაკლებ 240 კრედიტს**.
3. სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში მიმართოს უნივერსიტეტს და წარადგინოს ამ წესის **მე-7 მუხლით** გათვალისწინებული დოკუმენტები.
4. აბიტურიენტთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან **10 კალენდარულ დღეზე ნაკლები**.
5. უნივერსიტეტში აბიტურიენტის ჩარიცხვა ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ერთიანი აქტით, რომელიც გამოიცემა არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, გამოცემიდან **15 დღის ვადაში**.
6. პირი, რომელიც შესულია რანჟირების დოკუმენტში, მაგრამ ვერ მოხვდა რექტორის ერთიან აქტში დადგენილ ვადაში უნივერსიტეტისათვის მიუმართაობის გამო, უფლებამოსილია, მიმართოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან **მომდევნო წლის ივნისამდე**. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი ვალდებულია, პირის მიერ უნივერსიტეტში ჩარიცხვისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს ბრძანება ჩარიცხვის შესახებ, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი იგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, სამინისტროში, გამოცემიდან **15 დღის ვადაში**. ამ გზით პირის ჩარიცხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.
7. უნივერსიტეტში სწავლა **ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე**, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:
 - ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
 - ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
 - გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ)საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

3.2 სტუდენტის სტატუსის მოპოვება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე

1. უნივერსიტეტის **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე** სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა/გამოცდების ან დაშვების სხვა წინაპირობების დაკმაყოფილების/წარმატებით გადალახვის შემთხვევაში.
2. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაში/გამოცდებში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმატებით გადალახა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და უნივერსიტეტის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
3. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რექტორის აქტით დადგენილი წესით განსაზღვრულ ვადაში.
4. მაგისტრანტობის კანდიდატების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უნივერსიტეტში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია მხოლოდ **”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.**
5. უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლების მოპოვების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს სასწავლებლის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში აბიტურიენტი ვალდებულია მიმართოს სასწავლებელს ჩარიცხვისთაობაზე.
6. რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.
7. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის/გამოცდების თემატიკას სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს. საგამოცდო თემატიკა ასევე ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, გამოცდებამდე გონივრული ვადით ადრე.
8. უნივერსიტეტის შიდა გამოცდების შედეგების გამოცხადების შემდეგ, მაგისტრანტობის კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს შედეგები 3 სამუშაო დღის განმავლობაში.
9. თუ საგანმანათლებლო პროგრამით პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დადგენილია უცხო ენის განსაზღვრული დონე, შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის დადასტურება შესაძლებელია როგორც შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით, ასევე შესაბამისი ცოდნის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატის წარმოდგენით, ან შესაბამისენოვან უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლით, რაც ათავისუფლებს სტუდენტს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარებისაგან.
10. სასწავლო უნივერსიტეტში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებასა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

11. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობის საფუძველზე შეიძლება ჩარიცხოს მაგისტრატურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ პირობით, რომ ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე უნივერსიტეტში წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს.
12. იმ პირობის თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ამ მუხლის 3.2.10. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დგება რექტორის ერთიანი აქტი, რექტორის ერთიან აქტში მიეთითება მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სამაგისტრო გამოცდის წლის 5 ოქტომბრამდე სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ასახავს ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ დადგენილი წესის შესაბამისად
13. **სტუდენტის სტატუსის მოპოვება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:
 - ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;
 - გ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;
 - დ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხნენ საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ 52- ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

3.3 მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან შესაბამისი სამხედრო / სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირს.

2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და ისწავლება არანაკლებ 1 სასწავლო წლის განმავლობაში.
3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ფორმის სერტიფიკატი, რითაც მას ეძლევა მასწავლებლობის უფლება.
4. მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს: ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომლებსაც მიღებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხი.
5. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა, გარდა საკვალიფიკაციო მოთხოვნისა, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საგნის გამოცდისა და სპორტის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩაბარება.
6. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ პირთა წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 4. სტუდენტის ხელშეკრულება და რეგისტრაციისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია

1. პირი, რომელიც მოიპოვებს დაწესებულებაში სწავლის უფლებას, რეგისტრაციის გასავლელად დადგენილ ვადებში უნივერსიტეტში წარადგენს შემდეგ დოკუმენტაციას:
 - ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - ბ) ფოტოსურათი 3/4 (2 ცალი და CD-დისკზე ჩაწერილი);
 - გ) წინა საფეხურის განათლების (კვალიფიკაციის) დამადასტურებელი დოკუმენტი; ატესტატი - დედანი, ბაკალავრის/მაგისტრის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში - დედანი ან/და ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
 - დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ვაჟებისთვის);
 - ე) საზღვარგარეთ მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
2. ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, სტუდენტთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.
3. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სტუდენტს გადაეცემა სტუდენტური ბარათი. ბარათის დაკარგვის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ ფაკულტეტის ადმინისტრაციას. აღნიშნულ შემთხვევაში, სტუდენტი იხდის ახალი სტუდენტური ბარათის დამზადების საფასურს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული ოდენობით.

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება არის სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის სასწავლო პროცესით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების დროებითი შეჩერება, სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადით.
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების განმავლობაში მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვალდებულებები წარმოშობილია სტატუსის შეჩერებამდე (ფინანსური ვალდებულება უნივერსიტეტის წინაშე,

უნივერსიტეტის მატერიალური ქონების ფლობა დ ა.შ.).

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - ა) სტუდენტის პირადი განცხადება;
 - ბ) ავადმყოფობა/ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
 - ბ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;
 - გ) უცხო ქვეყანის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა; გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
 - დ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
 - ე) ოჯახური მდგომარეობა;
 - ვ) საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური ან/და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა.
 - ზ) სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების (სწავლის საფასურის გადაუხდელობა) დარღვევა;
4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
5. **სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა შეჩერების მომენტიდან 5 წელი. ის პერიოდი, რის მანძილზეც სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი არ ითვლება სწავლის პერიოდში.** 5 წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის აღდგენლობის შემთხვევაში, სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
6. სტუდენტის სტატუსის შეჩერებული პირი სარგებლობს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის (მოხილობის) უფლებით.
7. იმ შემთხვევაში, თუ ის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზედაც ირიცხებოდა სტუდენტი მისთვის სტატუსის შეჩერებამდე გაუქმებულია, ან შეცვლილია მისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის, სტუდენტი უფლებამოსილია, სწავლა გააგრძელოს ყველაზე ახლოს მდგომი საგანმანათლებლო პროგრამით ან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8. სტუდენტს სტატუსის შეჩერებამდე გადახდილი სემესტრული სწავლების საფასური უკან არ დაუბრუნდება.
9. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ რექტორის ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს გაცნობიდან 5 დღის ვადაში. ბრძანების გაცნობად ითვლება სტატუსის შესახებ ინფორმაციის ცვლილება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ან/და სტუდენტის წერილობითი შეტყობინება. საჩივარს განიხილავს რექტორი შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ერთად საჩივრის მიღებიდან 5 დღის ვადაში.
10. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების რეესტრში სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.
11. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/5

ბრძანების, ამ წესის და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია: ა) პირადი განცხადება; ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება; გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში; დ) უნივერსიტეტისათვის ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა, რომელმაც გავლენა იქონია ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე; ე) ეთიკის კოდექსის უხეში დარღვევა ან პლაგიატი, რაც დასტურდება შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით; ვ) მობილობის წესით სხვა უმაღლეს სასწავლებელში გადასვლა; ზ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა; თ) გარდაცვალება.
2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტილ პირს არ უბრუნდება სწავლის გადახდილი საფასური.
3. **სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ** (გარდა პირველი პუნქტით განსაზღვრული ბ); ვ) და თ) შემთხვევებისა). დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.
4. სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები რეგულირდება კანონმდებლობითა და სფასსსუ-იში დადგენილი შესაბამისი წესებით.

მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტუდენტი უფლებამოსილია სტატუსის შეჩერების მომენტიდან 5 წლის განმავლობაში პირადი განცხადების საფუძველზე აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი ამ მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რაც საფუძველად დაედო სტუდენტის სტატუსის შეჩერებას, სტუდენტი უფლებამოსილია პირადი განცხადებით აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი (გარდა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერებისა, ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი რომელიც არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას ე.ი. არ გადაიხდის სწავლის დადგენილ საფასურს უჩერდება სტუდენტის სტატუსი უნივერსიტეტის მიერ, ხოლო აღწინასწარი ფინანსური დავალიანების დაფარვის შემთხვევაში უნივერსიტეტი სტატუსს აღუდგენს სტუდენტს მისი პირადი განცხადების გარეშე. სტატუსის აღდგენის ნების გამოვლენად მიიჩნევა მისი მიერ დადგენილი სწავლის საფასურის უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვა).
3. სტუდენტის შეჩერებული სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე აკადემიური პროგრამის

ფარგლებში, იმავე პირობებით;

4. სტუდენტის სტატუსის აღდგენა (გარდა სემესტრის განმავლობაში ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზით სტატუსის შეჩერების მიზეზისა) დასაშვებია სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) კვირისა.
5. სტუდენტის შეჩერებული სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება და რექტორის წარმომბაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს სტატუსის აღდგენიდან ერთი დღის ვადაში რექტორში შესაბამისი მონაცემების ასახვას.
6. სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტს უნარჩუნდება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები.

მუხლი 8. აკადემიური კალენდარი

1. აკადემიური კალენდარი სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა მტკიცდება რექტორის მიერ.
2. შესაძლებელია, სემესტრის ხანგრძლივობა და ვადები განსხვავებული სახით მოწესრიგდეს განსხვავებული საგანმანათლებლო საფეხურის მიზნებისთვის.

მუხლი 9. აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია

1. სასწავლო პროცესში ჩასართავად სტუდენტი ვალდებულია გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადებში.
2. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს წინამდებარე წესით განსაზღვრული და მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდეგ, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში საგნებზე რეგისტრაციას რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში. ყოველი სემესტრის დასაწყისში რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს **აკადემიური რეგისტრაცია**, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ბაზის საშუალებით აირჩიოს სასწავლო კურსები სემესტრის დაწყებამდე. აღნიშნულ პერიოდში სტუდენტის მიერ რეგისტრაციის გაუვლელობა იწვევს **სტუდენტის სტატუსის შეჩერებას**.

3. **ადმინისტრაციული რეგისტრაციის** გავლა გულისხმობს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში პირველკურსელთათვის და მობილობის წესით გადმოსული სტუდენტების შემთხვევაში: განცხადებისა და თანდართული საბუთების წარმოდგენას, უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე წესით, საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებასა და ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას, ხოლო აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის, უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე წესით და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების განხორციელებას (სწავლის საფასურის გადახდას).

აკადემიური რეგისტრაციის დასრულების შემდეგ სტუდენტის სტატუსის აღდგენის (რაც ითვალისწინებს აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლას) შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია დარეგისტრირდეს იმ სასწავლო კურსებზე, რომელიც გახსნილია მიმდინარე სემესტრში.

4. თუ სტუდენტი დადგენილ ვადებში ვერ იხდის სწავლის საფასურს, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ინდივიდუალური გადახდის გრაფიკის შეთანხმება. გრაფიკის დარღვევა გამოიწვევს ფინანსური ვალდებულების გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერებას.
5. დამატებით სემესტრში დარეგისტრირების შემთხვევაში, სტუდენტი მომსახურების საფასურს იხდის, შესაბამის სემესტრში ასათვისებელი კრედიტების მოცულობის შესაბამისად. დამატებით სემესტრში განსაზღვრული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში,

სტუდენტის დატვირთვისათვის დადგენილი კრედიტების მოცულობის შესაბამისად, სტუდენტი ვალდებულია, დარეგისტრირდეს შესაბამის სემესტრში შეთავაზებულ ყველა სასწავლო კურსზე, რაც საგანმანათლებლო პროგრამით გასაველი აქვს.

6. თუ სტუდენტს სრულად აქვს სწავლის საფასური გადახდილი, თუმცა, არ გაიარა აკადემიური რეგისტრაცია, უჩერდება სტუდენტის სტატუსი და უფლება აქვს მოითხოვოს თანხის უკან დაბრუნება ან უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხის მომდევნო სემესტრის სწავლის საფასურში ჩათვლა, რისთვისაც განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტს.
7. სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ სემესტრის დასრულებამდე სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტს და უნივერსიტეტს შორის ფინანსური ანგარიშსწორება წარმოებს შემდეგი სახით:
 - ა) სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირს შეუძლია მოითხოვოს უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადახდილი შესაბამისი სემესტრის სწავლის საფასურის დაბრუნება ან სტატუსის აღდგენის შემდეგ - შესაბამისი სემესტრის სწავლის საფასურში ჩათვლა;
 - ბ) თუ სტუდენტის სტატუსის შეჩერება განხორციელდა სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორ კვირის გასვლის შემდეგ პირი კარგავს სწავლის საფასურის დაბრუნების უფლებას.
8. სტუდენტი უფლებამოსილია სასწავლო კურსებზე რეგისტრირებამდე გაიაროს კონსულტაცია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს სასწავლო პროცესის მართვის სისტემა, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას.
9. სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში შესაძლებელია სასწავლო კურსებზე განაცხადის გაუქმება და მის ნაცვლად სხვა სასწავლო კურსზე დარეგისტრირება.
10. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გამოხატავს სტუდენტის მზაობას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში - აითვისოს სასწავლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტები და გულისხმობს სწავლის საფასურის სრულ ან ნაწილობრივ გადახდას უნივერსიტეტში დადგენილი წესების დაცვით. უნივერსიტეტში სწავლის საფასური განისაზღვრება ერთ სასწავლო წლის სახით, რომლიც ნაწილდება სემესტრული გადასახადის სახით.
11. სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში.
12. უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტის სწავლის სემესტრული საფასური განისაზღვრება მოცემულ სპეციალობაზე მიმდინარე სასწავლო წელს დადგენილი ტარიფით.
13. სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების, ან მისი მომდევნო სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას.
14. აკადემიური რეგისტრაციის გაუქმების ან არჩეული საგნის შეცვლის მოთხოვნა დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, რის შემდეგაც დაუშვებელია მომსახურების მიუღებლობის მოტივით გადახდილი თანხის დაბრუნების ან მისი მომდევნო სემესტრებში გადატანის მოთხოვნა.
15. თუ სტუდენტი სარგებლობს სახელმწიფო დაფინანსებით და მისი ინდივიდუალური

საჭიროებიდან გამომდინარე, აკადემიურ რეგისტრაციას გადის 30-ზე ნაკლებ კრედიტზე, სტუდენტს უნარჩუნდება გრანტის სახით მიღებული დარჩენილი კრედიტების რაოდენობის ღირებულება და შეუძლია მისი გამოყენება პროგრამით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში.

მუხლი 10. დამატებითი სემესტრის გავლა

1. სტუდენტმა, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო სემესტრის/სემესტრების განმავლობაში. უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიური წლის განმავლობაში განსაზღვროს დამატებითი სემესტრები, დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.
2. დამატებით სემესტრში რეგისტრირებული სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება მისი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, ასათვისებელი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე და გამოიანგარიშება კრედიტების რაოდენობის ერთი კრედიტის ღირებულებაზე გადამრავლების შესაბამისად.
3. დამატებით სემესტრზე სტუდენტის რეგისტრაცია ხორციელდება ამ წესით განსაზღვრული აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პროცედურების შესაბამისად.
4. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი), საგანმანათლებლო პროგრამის ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით უფლებამოსილია ერთი აკადემიური წლის განმავლობაში დარეგისტრირდეს პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებზე 60 კრედიტის ფარგლებში (დასაშვებია, სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები). დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.
5. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციისთვის სტუდენტი ვალდებულია აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაიაროს ამ წესით განსაზღვრული აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 11. სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. სტუდენტის მიერ კრედიტის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტისათვის განკუთვნილი კრედიტის მინიჭება უნდა განხორციელდეს ერთი სემესტრის ფარგლებში. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. დაუშვებელია შესაბამისი კრედიტის გაყოფა და მისი ნაწილ-ნაწილ მინიჭება. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
3. სასწავლო კურსში სტუდენტის შემაჯამებელი შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა

და დასკვნითი გამოცდის შეფასებების ჯამს. მათ შორის, შუალედურ შეფასებას ეთმობა არანაკლებ 60, ხოლო დასკვნით შეფასებას - არანაკლებ 30 ქულა. **შუალედური შეფასების კომპონენტები, მეთოდები და მინიმალური კოპეტენციის ზღვარი განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით. დასკვნით შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ასევე განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამით.**

4. სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი ვალდებულია, რეგულარულად უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში სტუდენტის შეფასებების ასახვა.
5. საუნივერსიტეტო შეფასების სისტემა ითვალისწინებს:
 - ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
 - (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
 - ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 - (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
6. ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი „(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა“ შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. თუ სტუდენტმა დასკვნით გამოცდაზე ვერ მიიღო ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დადებითი შეფასება, მაგრამ შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულების ჯამი შეადგენს 41-50 ქულას უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე.
7. **დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.** აღნიშნული წესი არ ვცვლდება სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას.
8. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დასკვნითი შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
9. **შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურები**
 - 9.1 სტუდენტს უფლება აქვს გაეცნოს შუალედური/დასკვნითი, ძირითადი და დამატებითი გამოცდების შედეგებს, შეფასების შედეგები განიხილოს სასწავლო კურსის ლექტორთან;
 - 9.2 თუ სტუდენტი საგამოცდო ნაშრომის გაცნობის შემდეგ ჩათვლის, რომ შეფასებულია არაობიექტურად, შუალედური/დასკვნითი ძირითადი და დამატებითი გამოცდების შედეგების აპელაციის მიზნით, უფლება აქვს გაასაჩივროს მიღებული შეფასება შეფასების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.
 - 9.3 სტუდენტი გასაჩივრების მიზნით წერილობით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს. სტუდენტი ვალდებულია დაასაბუთოს აპელაციის საფუძველი, მიუთითოს კონკრეტული დავალება, სადაც ფიქრობს რომ არ არის სწორად შეფასებული.

9.4 საგამოცდო ნაშრომის ხელახლა შეფასების მიზნით დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია.

9.5 კომისიის შემადგენლობა შედგება არანაკლებ 3 წევრისგან;

9.6 კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს:

ა) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ბ) პროგრამის ხელმძღვანელი;

გ) კათედრის წევრი, რომელიც არის იმავე მიმართულების ან/და მომიჯნავე მიმართულების ლექტორი;

დ) პროგრამის ხელმძღვანელი;

ე) შესაძლებელია კომისიის წევრი იყოს მოწვეული პირი.

9.7 სააპელაციო კომისიის მიერ დგება ოქმი, სადაც არის დასაბუთება შეფასების შედეგებთან დაკავშირებით.

კომისიის მიერ შეიძლება მიღებულ იქნას შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) ქულის მომატების თაობაზე;

ბ) ქულის უცვლელად დატოვების თაობაზე;

გ) ქულის დაკლების თაობაზე.

9.8 სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული შეფასება საბოლოოა და ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

9.9 ფაკულტეტის დეკანი ვალდებულია აპელაციის შედეგი აცნობოს საგამოცდო ცენტრს, კურსის განმახორციელებელ ლექტორს და სტუდენტს.

თავი III. მობილობა

მუხლი 12. მობილობის უფლების მქონე პირი

1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომელიც უნივერსიტეტში ჩაირიცხა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის უნივერსიტეტის სტუდენტი ან ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი. ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელმაც რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართა, ვინაიდან უნივერსიტეტი ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, უნივერსიტეტმა დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.
2. მობილობით სარგებლობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტი სარგებლობს შიდა მობილობით. სწავლების პერიოდში არ შედის პირის მიერ სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდი.
3. თუ უნივერსიტეტი ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, უნივერსიტეტმა დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.
4. სამაგისტრო საფეხურზე მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს აქვს მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული

საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

5. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული:
 - ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (შემდგომში – დებულება) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე-8 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ;
 - ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.
6. მობილობაში მონაწილე ის სტუდენტი, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ, ვალდებულია აკმაყოფილებდეს დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ყველა წინაპირობას და ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ამ წესის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული საგანი/საგნები.
7. თუ პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს:
 - ა) იმ საგნისგან განსხვავებული საგანი, რომელიც ჩაბარებული აქვს მობილობის მსურველს, იგი მობილობის განხორციელებამდე უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ერთიანი ეროვნული გამოცდებში და ჩააბაროს შესაბამისი საგანი/საგნები;
 - ბ) ერთზე მეტი საგანი, რომელიც შეესაბამება, დებულების დანართი №3-ით გათვალისწინებული სწავლის სფეროების მიხედვით განსაზღვრულ საგნების ჩამონათვალს, მობილობის მსურველს, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ, ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა ჩაეთვლება დაკმაყოფილებულად ერთ-ერთი მათგანის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაშიც. ჩასაბარებელ საგანში/საგნებში ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა წარმოადგენს ამ მობილობის მიზნებისთვის გათვალისწინებული წინაპირობის დაკმაყოფილებას.

მუხლი 13. მობილობის პროცესი

1. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში – მართვის სისტემა).
2. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებისათვის იქმნება მობილობის ელექტრონული პორტალი (შემდგომში – ელექტრონული პორტალი), რომლის წარმოების წესი დგინდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და რომელზეც აისახება დაწესებულებების მიერ მობილობისათვის რეგისტრირებული ადგილები საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების (შემდგომში – საგანმანათლებლო პროგრამა) მიხედვით.
3. მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებისათვის, დგინდება:
 - ა) დაწესებულებების მიერ მობილობის წესით მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობის მართვის სისტემაში წარმოდგენის ვადა;
 - ბ) მობილობის მსურველ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა;
 - გ) მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ელექტრონულად ასახვის ვადა.

4. შესაბამისი ფაკულტეტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოფს მობილობის მსურველ პირთა ადგილების განსაზღვრული ფორმით რეგისტრაციას.
5. მობილობის მსურველის მიერ დაწესებულებაში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, ვადები, კრედიტების აღიარების კომისიის შემადგენლობა და საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის აუცილებელი წინაპირობები (საჭიროების შემთხვევაში) განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, წინაპირობები განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ და წარედგინება შესაბამის ფაკულტეტს, რომელიც თავის მხრივ, უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისთვის.
6. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია მობილობის მსურველს გაუზიაროს დასაბუთებული მოთხოვნა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის თაობაზე.
7. აღიარების კომისია ადგენს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას, რისთვისაც ამოწმებს სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან, სტუდენტის ჩარიცხვის კანონიერების საკითხს, გავლილი პროგრამის აღიარების შესაძლებლობის საკითხს, სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას მიმღები პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან (არსებობის შემთხვევაში) და ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე.
8. კრედიტების აღიარება ფორმდება მიმღები უნივერსიტეტში კრედიტების აღიარების კომისიის მოტივირებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა იმ პროგრამასთან, რომელზედაც სურს სტუდენტს სწავლის გაგარძელება, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა.
9. უნივერსიტეტი მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, შეიმუშავებს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის თაობაზე.
10. უნივერსიტეტი რეესტრში ასახავს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებულ ინფორმაციას მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, რის შემდეგაც მართვის სისტემა ამოწმებს უნივერსიტეტის ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას არსებული წესის მოთხოვნებთან, რეესტრისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს ელექტრონულ დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. მართვის სისტემა უფლებამოსილია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.
11. ბრძანების პროექტზე მართვის სისტემის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ.
12. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება მართვის სისტემაში.
13. რეესტრის მონაცემების საფუძველზე, იმ დაწესებულების მიერ, საიდანაც გადმოდის სტუდენტი, გამოიცემა ბრძანება სხვა დაწესებულებაში ჩარიცხული პირის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირის ვადაში გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, ასევე

საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იგი ამ დაწესებულებაში ჩაირიცხა და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, მართვის სისტემას წარედგინება 7 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 7 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში

მუხლი 14. შიდა მობილობა

1. შიდა მობილობა გულისხმობს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლას უნივერსიტეტის შიგნით აკადემიური განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.
2. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ვადებსა და შესაბამისი პროცედურების დაცვით.
3. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს იმ შემთხვევაშიც, თუ მას შიდა მობილობის გამოცხადების მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.
4. შიდა მობილობის მსურველი სტუდენტის განცხადების საფუძველზე განიხილება სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების თავსებადობის საკითხი და აღიარების კომისია ამავე წესით გათვალისწინებული კრედიტების აღიარების წესის დაცვით, შეიმუშავებს შესაბამის დასკვნას.
5. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი, სტუდენტთან შეთანხმებით, ადგენს მოცემული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გონივრულ ვადაში მისაღწევად საჭირო ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. სტუდენტის თანხმობის შემთხვევაში, შიდა მობილობა ფორმდება რექტორის ბრძანებით.
6. შიდა მობილობის განხორციელების შემთხვევაში, აღიარების კომისია ვალდებულია, შეამოწმოს სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან.
7. სტუდენტის მიერ შიდა მობილობით უნივერსიტეტის სხვა პროგრამაზე გადასვლა ფორმდება რექტორის ბრძანებით.
8. შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი ვალდებულია შიდა მობილობის შედეგები ორი კვირის ვადაში მიაწოდოს მართვის სისტემას.

მუხლი 15. მიღებული განათლების აღიარება

1. პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახური ვალდებულია უზრუნველყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის განათლების აღიარებასთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციის მიწოდება. ცენტრი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ და უგზავნის უნივერსიტეტს.
3. საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების (კრედიტების) აღიარება ხორციელდება უნივერსიტეტის აღიარების კომისიის მიერ, უნივერსიტეტში დადგენილი წესისა და პროცედურების შესაბამისად.

თავი IV
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება

მუხლი 16. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კვალიფიკაციის მინიჭება

1. აკადემიური განათლების ცალკეული საფეხურის დასრულების, შესაბამისი საფეხურის კომპეტენციების გამომუშავებისა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობის დაგროვების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი (ბაკალავრის, მაგისტრის) უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე დადგენილი წესის თანახმად.
2. შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას ახორციელებს უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - ფაკულტეტი, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.
3. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და ეძლევა უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული დადგენილი ფორმის დიპლომი.
4. დიპლომს დაერთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N149 ბრძანების შესაბამისად მომზადებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის დანართის ფორმა.

მუხლი 17. საშუალო (შეწონილი) ნიშნის (GPA–ს) დაანგარიშების წესი

1. საშუალო (შეწონილი) ნიშნის (GPA) დაანგარიშება ხდება სტუდენტის მიერ მიღებული ყველა შეფასების გათვალისწინებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის მიერ მიღებული უარყოფითი შეფასების ანულირება ხდება იმავე სასწავლო კურსის განმეორებით მოსმენის და დადებითი შეფასების მიღების საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლისას სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებების GPA–თან შესაბამისობა დგინდება შემდეგი პრინციპით:

შეფასება	ქულობრივი მაჩვენებელი	GPA
A	91 - 100	4.0
B	81 - 90	3.0
C	71 - 80	2.0
D	61 - 70	1.0
E	51 - 60	0.5
F-FX	51 - 60	0

GPA – გამოითვლება მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც სტუდენტს მიღებული აქვს დადებითი შეფასება (A,B,C,D,E). FX და F შეფასება GPA-ს გამოთვლაში 0-ის ტოლია.

2. ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება კუმულატიური GPA, რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს საგანმანათლებლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი შემდეგი ხარისხის დიპლომს, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიშნულის დანართთან ერთად:

ა) წარჩინების დიპლომი - GPA 3.5 და მეტი შეფასება;

ბ) ე.წ. „ჩვეულებრივი დიპლომი“ - ყველა საგანში დადებითი შეფასება და GPA 3.5-ზე ნაკლები.

3. დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით დამამთავრებელი კურსის სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს 3 საგნისა. საგნის გადაბარების მოთხოვნით (თვითდაფინანსებით) სემესტრის დაწყებამდე სტუდენტი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს.

თავი V.

დასკვნით დებულებები

მუხლი 18. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.
2. წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

[Type here]